

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული

ადმინისტრაცია



გამარტივებული ელექტრონული ტენდერით სვანეთის საფეხმავლო მარშრუტების  
კვლევისა და დაპროექტების მომსახურების შესყიდვის

## სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

2012 წელი

## სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის ..... 3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია ..... 4
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ..... 5
4. რეკვიზიტები და სატენდერო წინადადება დანართი #1 .....9
5. გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი დანართი #2 ..... 10

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1. გამარტივებული ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში სისტემა) მეშვეობით.
- 1.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.
- 1.3. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- 1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
- 1.5. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- 1.6. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
- 1.7. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. #4, მე-6 სართული. საკონტაქტო პირი: სალომე ხურცილავა ტელ: 2 43 69 99 (16)

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

### 2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს საფეხმავლო მარშრუტების კვლევის მომსახურება და აღნიშნული მარშრუტებისათვის მარკირების პროექტის მომზადება, შემდეგი საფეხმავლო მარშრუტებისთვის:

1. ეცერი - ცხუმარი;
2. ცხუმარი - კარსტული მღვიმე- ლაილა;
3. ეცერი-ებუდი-დოლი- ლატალი;
4. ლატალი- ლენჯერი- ჰეკშილდი;
5. მაზერი - ლატალი;
6. ჟაბეში - თეთნულდი;
7. ადიში - თეთნულდი.

აღნიშნულ მარშრუტებზე კვლევის საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- დაგეგმილ მარშრუტებზე ტურისტული ობიექტების იდენტიფიცირებასა და აღწერას;
- ტურისტულ მარშრუტების ოპტიმალური სვლა-გეზის დადგენას და ბილიკების დივერსიფიკაციას;
- თითოეული მარშრუტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აღწერას;
- მარშრუტების GPS კოორდინატების აღებას;
- მარშრუტების ფოტო-მასალის მოწოდებას;
- კვლევის შედეგად შერჩეული მარშრუტების მარკირების პროექტის მომზადებას, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - დაფებისა და ნიშნულების დიზაინს, შესაბამისი მოცულობებით (დიზაინი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან);
  - დაფებისა და ნიშნულების განთავსების კოორდინატებს;
  - დაფებისა და ნიშნულების მასალის დეტალურ აღწერილობას; მარკირების პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ნაბეჭდი (2 წიგნად), ასევე ელექტრონული ვერსიის სახით.

### 2.2. აუცილებელი მოთხოვნა:

2.2.1 ჰქონდეს მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება;

### 2.3. მიწოდების პირობები და ვადები

2.3.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს: ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენარულ დღეში;

2.3.2 მომსახურების გაწევის ადგილია: საქართველო.

### 2.4. ანგარიშსწორების პირობები:

2.4.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.4.3 ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4.4 დაფინანსების წყარო: 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

### 2.5 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.5.1. ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევისა და მომსახურების განხორციელებისათვის გამოსაყენებელი საჭირო აპარატურის შესახებ;

2.5.2. რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი დანართი #1-ის მიხედვით;

2.5.3 გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი დანართი #2-ის შესაბამისად;

პროექტი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - SPA

ქ. თბილისი

“-----“ ----- 2012 წ.

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204578206), შემდგომში წოდებული “შემსყიდველად”, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **მაია სიდამონიძის** სახით და ----- (მის: ----- ტელეფონი: -----, საბანკო რეკვიზიტები: ----- ს.კ. -----) შემდგომში წოდებული “მიმწოდებლად”, ორივე ერთად წოდებული როგორც “მხარეები”, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**1.1** `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ` (შემდგომში \_ `ხელშეკრულება`) \_ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**1.2** `ხელშეკრულების ღირებულება` \_ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

**1.3** „დღე“, `კვირა`, `თვე` \_ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

**1.4** `შემსყიდველი` – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

**1.5** `მიმწოდებელი` – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

**1.6** `მომსახურება` \_ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

სვანეთის საფეხმავლო მარშრუტების კვლევისა და მარკირების დაპროექტების მომსახურება (CPV 73300000)

### 3. ხელშეკრულების ღირებულება და ვადა

**3.1** ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.

**3.2** ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**3.3** წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**3.4 მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა:**

**3.5 მომსახურების გაწევის ადგილი: საქართველო**

#### **4. მხარეთა მოვალეობები**

**4.1 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: -----**

**4.2 შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

#### **5. ხარისხი**

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

#### **6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

**6.1** შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

**6.2** ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის -----

**6.3** შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს ხარვეზი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარვეზის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

#### **7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

**7.1** მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების ანგარიშის საფუძველზე.

**7.2** მომსახურების მიღებას აწარმოებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის -----

#### **8. ანგარიშსწორება**

**8.1** ანგარიშსწორების ვალუტა \_ ლარი.

**8.2** ანგარიშსწორების ფორმა \_ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

**8.3** შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

#### **9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

**9.1** თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუფხავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

შეტყობინების მიმდებარე მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**9.2** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## **10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

**10.1** წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

**10.2** წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხარვეზიანი მომსახურების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

**10.3** თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

**10.4** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

**11.1** ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

**11.2** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## **12. დავების გადაწყვეტის წესი**

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## **13 .ხელშეკრულების შეწყვეტა**

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

## **14 .ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

## 15 .ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 16 .სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

## 17 .მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი

შემსყიდველი



**1. რეკვიზიტები:**

პრედენდენტის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

**2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებულ სატენდერო წინადადების ფასი:**

---

ხელმოწერა

ბ.ა.

გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

#	მომსახურების დასახელება	მომსახურების აღწერა	გასაწევი მომსახურების ღირებულება	მომსახურების გაწევის ვადა
1	სვანეთის საფეხმავლო მარშრუტების კვლევა და მარკირების პროექტის მომზადება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ეცერი - ცხუმარი;</li> <li>2. ცხუმარი - კარსტული მღვიმე- ლაილა;</li> <li>3. ეცერი-ებუდი-დოლი- ლატალი;</li> <li>4. ლატალი- ლენჯერი- ჰეკშილდი;</li> <li>5. მაზერი - ლატალი;</li> <li>6. ჟაბეში - თეთნულდი;</li> <li>7. ადიში - თეთნულდი.</li> </ol> <p>აღნიშნულ მარშრუტებზე კვლევის საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დაგეგმილ მარშრუტებზე ტურისტული ობიექტების იდენტიფიცირებასა და აღწერას;</li> <li>- ტურისტულ მარშრუტების ოპტიმალური სვლა-გეზის დადგენას და ბილიკების დივერსიფიკაციას;</li> <li>- თითოეული მარშრუტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აღწერას;</li> <li>- მარშრუტების GPS კოორდინატების აღებას;</li> <li>- მარშრუტების ფოტო-მასალის მოწოდებას;</li> <li>- კვლევის შედეგად შერჩეული მარშრუტების მარკირების პროექტის მომზადებას, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: <ul style="list-style-type: none"> <li>➢ დაფებისა და ნიშნულების დიზაინს, შესაბამისი მოცულობებით (დიზაინი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან);</li> <li>➢ დაფებისა და ნიშნულების განთავსების კოორდინატებს;</li> <li>➢ დაფებისა და ნიშნულების მასალის დეტალურ აღწერილობს; მარკირების</li> </ul> </li> </ul> <p><u>პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ნაბეჭდი (2 წიგნად), ასევე ელექტრონული ვერსიის სახით.</u></p>		

სულ:           ლარი

ხელმოწერა   ბ.ა.